თანამშრომელთა სამოტივაციო სქემების ანალიზი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სექტორის მაგალითზე

მარიამ ხელაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, განათლებისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ანნა თანდილაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

მარიამ ხელაძე

თარიღი: 15.06.2024

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილული და შეფასებულია სამოტივაციო სქემების გავლენა, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროში მოღვაწე დასაქმებულებზე საჯარო სექტორის მაგალითზე. კვლევის მიზანს წარმოადგენს, სამოტივაციო სქემების გავლენის განსაზღვრა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროში მოღვაწე დასაქმებულებზე და ასევე იმის გამოკვლევა, თუ რატომ არის ეს სფერო მუდმივად კონკურენტუნარიანი.

კვლევაში წარმოდგენილი ჰიპოთეზების შემოწმებისთვის ნაშრომში ჩატარებულია კვლევა, როგორც ონლაინ ასევე ინტერვიუს სახით. რაოდენობრივი კვლევა ჩატარდა ონლაინ გამოკითხვის საშუალებით, ქ. თბილისში არსებულ ორ საჯარო საბავშვო ბაგა-ბაღში, ხოლო სიღრმისეული, სტრუქტურირებული ინტერვიუ სხვადასხვა საჯარო ბაგა-ბაღის მენეჯერებთან.

კვლევის შედეგებმა განსაზღვრა, რომ ბენეფიტები, რომელსაც თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო და საჯარო ბაგა-ბაღები ანხორციელებენ, დადებით გავლენას ახდენს თანამშრომელთა მოტივაციასა და პროდუქტიულობაზე, ასევე, კვლევის მთავარი მიგნება არის ის, რომ დაბალი სახელფასო ანაზღაურება, უმეტეს შემთხვევაში, საერთოდ არ განაპირობებს თანამშრომელთა დემოტივაციას.

კვლევის ღია კითხვების ანალიზის შედეგად მიეცათ რეკომენდაციები ბაღებსა და სააგენტოს, თანამშრომელთა პროდუქტიულობისა და მოტივაციის შენარჩუნებისთვის.

ძირითადი საძიებო სიტყვებია: მოტივაცია, სამოტივაციო სქემები, ბენეფიტები, საჯარო ბაღები.

Abstract

The paper discusses and evaluates the influence of motivational schemes on employees in the field of early and preschool education, specifically within the public sector. The study aims to determine the impact of incentive schemes on workers in early childhood education and care, as well as to investigate the persistently competitive nature of this field.

To test the hypotheses outlined in the research, both online surveys and interviews were utilized. Quantitative research was conducted via an online survey administered in two public kindergartens in Tbilisi. Additionally, in-depth, structured interviews were conducted with managers from various public kindergartens.

The research findings indicate that the benefits offered by the Tbilisi Kindergarten Agency and public nurseries positively affect employee motivation and productivity. Moreover, the study suggests that, contrary to common belief, low wages generally do not lead to employee demotivation.

Based on the analysis of open-ended survey questions, recommendations have been formulated for kindergartens and the agency to sustain employee productivity and motivation.

Keywords: motivation, motivational schemes, benefits, public kindergartens